ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიფრინავს „სოიუზ ტ-3"

## საკდესის ცნობა

კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად, 1980 წლის 27 ნოემბერს მოსკოვის დროით 17 საათსა და 18 წუთზე საბჭოთა კავშირში გაუშვეს სამადგილიანი კოსმოსური ხომალდი „სოიუზ ტ-3". კოსმოსურ ხომალდს პილოტობს ეკიპაჟი, რომელშიც შედიან: მეთაური პოდპოლკოვნიკი ლეონიდ დენისის ძე კიზიმი, ბორტინჟინერი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი-მფრინავი ოლეგ გრიგოლის ძე მაკაროვი და მკვლევარი კოსმონავტი გენადი მიხეილის ძე სტრეკალოვი.

გაშვების მიზანია კიდევ უფრო დახვეწონ „სოიუზ-ტ" სერიის გაუმჯობესებული ხომალდის საბორტო სისტემები და კონსტრუქციები ავტონომიური ფრენის სხვადასხვა რეჟიმის პირობებში და „სალუტ-6"-„პროგრეს-11" ორბიტულ კომპლექსთან ერთობლივი მუშაობის დროს.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, აქამდე მოეწყო ამ ტიპის ხომალდების ფრენა. 1979 წლის დეკემბერში „სოიუზ-ტ" უპილოტო ხომალდმა წარმატებით შეასრულა „სალუტ-6" სამეცნიერო სადგურთან შეპირაპირება. ასდღის ფრენის პროცესში მთლიანად შესრულდა ამ ხომალდის სისტემათა დახვეწის პროგრამა. 1980 წლის ივნისში განხორციელდა „სოიუზ ტ-2" სატრანსპორტო ხომალდის პირველი პილოტირებული ფრენა. ხომალდის ეკიპაჟმა — ი. ვ. მალიშევმა და ვ. ვ. აქსიონოვმა ხანგრძლივი ექსპედიციის ეკიპაჟთან ლ. ი. პოპოვთან და ვ. ვ. რიუმინთან ერთად მოაწყვეს დაგეგმილი სამუშაოები „სალუტ-6" — „სოიუზ-36" — „სოიუზ ტ-2" ორბიტული კომპლექსის ბორტზე.

„სოიუზ ტ-3" კოსმოსური ხომალდის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს.

კოსმონავტები, ამხანაგები კიზიმი, მაკაროვი და სტრეკალოვი თავს კარგად გრძნობენ და უკვე შეუდგნენ ფრენის პროგრამის შესრულებას.

კოსმოსური ხომალდის მეთაური, პოდპოლკოვნიკი ლ. დ. კიზიმი.

ბორტინჟინერი, სსრ კავშირის კოსმონავტი-მფრინავი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ო. გ. მაკაროვი.



მკვლევარი კოსმონავტი გ. მ. სტრეკალოვი.

# საიუბილეო კომისიის სხდომა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა რესპუბლიკური საიუბილეო კომისია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის თავმჯდომარეობით.

25 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავის დღესასწაულობისათვის მზადების რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის პირველი სხდომა.

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წლისთავი ემთხვევა სკკპ XXVI ყრილობის მუშაობის პერიოდს, გადაწყდა საიუბილეო დღესასწაულობა რესპუბლიკაში მოეწყოს 1981 წლის მაისის დამლევს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 229
(6790)
29
1980 წ.
ნოემბერი,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და
სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете
Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

### საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილის პასუხად

# სპორტის მუშაკებსაც გვაქვს სათქმელი

„...ყოველმხრივ შემოწმებული, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა მხოლოდ იმ შემთხვევაში გვექნება, თუ მასში კონკრეტულად აისახება რესპუბლიკის მოსახლეობის ყველა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი და ინტერესები". — ნათქვამია რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილში.

ვფიქრობ, წერილში აღძრულ საკითხებს, ჩვენ, სპორტის სპეციალისტებიც, სპორტსმენებიც უნდა გამოვეხმაუროთ, რადგან სპორტი და ფიზიკური კულტურა კარგა ხანია რაც ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

ფიზიკური კულტურა და სპორტი იმ დონემდე უნდა ავიყვანოთ, რომ მან პირველ რიგში, მოგვხიბლოს, მიგვიზიდოს. სწორედ ამაშია მისი უდიდესი ძალა. ყველა სპორტული ასპარეზობა, უპირველეს ყოვლისა, სილამაზის ზეიმია და დიდ სამსახურს უწევს ჩვენში სპორტის პროპაგანდას. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს მოსკოვის ოლიმპიური თამაშების გახსნისა და დახურვის გრანდიოზული სანახაობა, მსოფლიოს ყველა კუთხის წარმომადგენლებს დღესაც უჭირთ აუღელვებლად ილაპარაკონ ამ ზეიმზე.

მოდით, ახლა თვალი გადავავლოთ ჩვენს ადგილობრივი მასშტაბის სტარტების გახსნის ან დახურვის ცერემონიალებს. აქ ხომ ხშირ შემთხვევაში არავითარ ცერემონიალზე, საზეიმო განწყობილებაზე არ შეიძლება ლაპარაკი. დავიწყოთ იმით, რომ მასში მონაწილე სპორტსმენებიც გარეგნულად ერთობ უნიათოდ გამოიყურებიან — ფორმა მორგებული არა აქვთ, ვერც მათი სამწყობრო ნაბიჯი გამოირჩევა სიმტკიცითა და სიჩაუქით. ზეიმზე კი სწორედ შემართება უნდა ვიგრძნოთ. ზეიმმა უნდა აგვაღელვოს, აგვიტაცოს, სანახაობის უშუალო მონაწილე გაგვხადოს.

ეს შეიძლება ბევრს წვრილმანად მოეჩვენოს, მაგრამ სპორტში წვრილმანი არ არსებობს, ყველაფერს ანგარიში უნდა გაეწიოს, დაიხვეწოს და თავისი ადგილი მიეკუთვნოს.

ამდენად, აქ ყოველგვარი ხინჯი დაუშვებელია. ამაზე საგანგებოდ იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ ის უხეში გამოხდომები, რაც ასე გახშირდა რესპუბლიკური მასშტაბის სარბიელზე („რეკორდსმენები" საქართველოს პირველობის მონაწილე ფეხბურთელები არიან), სწორედ აქედან იღებს სათავეს.

თავად განსაჯეთ: სპორტსმენს თავდაპირველად მტკიცე სამწყობრო ნაბიჯი არავინ მოსთხოვა და ამ დარღვევამ უმტკივნეულოდ ჩაიარა. ამას სხვა დარღვევები მოჰყვა, რომლებმაც ასევე უმტკივნეულოდ ჩაიარა. იქნებ მეტოქის ან მსაჯისადმი უდიერად მოქცევაც გვეპატიოსო, ფიქრობენ უდისციპლინონი და მსაჯისა და მეტოქის ფიზიკურ შეურაცხყოფასაც არ ერიდებიან.

აღსანიშნავია, ისიც, რომ თვით რესპუბლიკურ შეჯიბრებებშიც იშვიათად შეხვდებით წარსულში გამოჩენილ სპორტსმენს. მაგალითად კონსტანტინე თაყაიშვილის ან ალექსანდრე ჭორჭაძის დარბაზში გამოჩენა, ან ბორის პაიჭაძის, მიხეილ ბერძენიშვილის სტადიონზე მისვლა სპორტსმენს ისეთი ორგანიზებულობის, წესიერებისა და ხშირად ისეთივე თავდადებისკენ მოუწოდებს, როგორ თავდადებასაც ეს გამოჩენილი ქართველი ტანმოვარჯიშეები და ფეხბურთელები იჩენდნენ ქართული სპორტის სასახელოდ და სადიდებლად. აქვე უნდა ითქვას, რომ თვით მსაჯებიც კი, თუ კი ისინი რაიმეს სცოდავენ, ასეთი დიდოსტატების თანდასწრებით პასუხისმგებლობას იგრძნობენ და მეტი გულისყურით მოეკიდებიან თავიანთ მოვალეობას. აქედან გამომდინარე, სპორტსმენსაც მსაჯთან კინკლაობის საბაბი არ ექნება.

ჩვენში ახლა ბევრი მოზარდი ცხოვრების გზაზე სწორედ სპორტის წყალობით გადის და თუ მის ნაბიჯებს ამთავითვე ხინჯი აქვს, შემდგომ მისი აღმოფხვრა გაჭირდება. ამიტომ, ამთავითვე ულმობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ გულგრილობას, და ყოველი სპორტული ასპარეზობა, როგორი მასშტაბის არ უნდა იყოს იგი, ჩავატაროთ ისე, როგორც შეშვენის სიჭაბუკის დღესასწაულს.

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენი პარტია. სპორტი იქცა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, ჩვენი საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის განმტკიცების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებად. სპორტის მუშაკებმა, სპორტსმენებმა, ვეტერანებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ ასპარეზობის ორგანიზაციისა და მაღალ დონეზე ჩატარების დიდმნიშვნელოვან საქმეს.

**ნ. დუმბაძე,**
**სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

## მოძმე სომხეთის სახელოვანი იუბილე

# ახალი წარმატებების გარანტია

**როლანდ ასატრიანი,**
**სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე**

●

დიდი ზეიმია ჩვენს უძველეს მიწა-წყალზე — განახლებული სომხეთის მშრომელები, ჩვენი დიადი სამშობლოს სხვა მოძმე ხალხებთან ერთად აღნიშნავენ რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60-წლისთავის იუბილეს.

60 წელი — ეს დროის არცთუ დიდი მონაკვეთია, მაგრამ სწორედ ამ მოკლე ხანში სომხეთში ბევრად მეტი გაკეთდა, ვიდრე საუკუნეების მანძილზე.

დამონებულმა, დაბეჩავებულმა, ფიზიკური განადგურებისგან სასწაულად გადარჩენილმა სომეხმა ხალხმა ბედნიერება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჰპოვა. დღეს ისინი მტკიცე რწმენით უყურებენ მერმისს და ამაყად პატაკობენ ახალი, ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაში მიღწეულ ჭეშმარიტად უზარმაზარ გამარჯვებებზე, შრომითი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში მოპოვებულ წარმატებებზე.

და ახლა, როცა მატიანეს ვფურცლავთ, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ საუკუნის დასაწყისში სომხეთში არ იყო ფიზკულტურის არც ერთი სპეციალისტი. დღეისთვის კი რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციები საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმია. დღეს მილიონამდე ფიზკულტურელის განკარგულებაშია რესპუბლიკის საუკეთესო სპორტული ბაზები, მათ შორის ახალი სტადიონი ოქტომბერიანში, დახურული 50-მეტრიანი აუზი ერევანში, ძალოსნობის სპეციალიზებული დარბაზი ლენინაკანში. სწრაფი ტემპით შენდება სპორტულ-საკონცერტო სასახლე და უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის ორდარბაზიანი კორპუსი, აგრეთვე მშვილდოსნობის ბაზა სპორტულ კომპლექს „რაზდანის" გვერდით. ყველაფერი ეს, ფიზიკურად და მორალურად ჯანსაღი ახალი თაობის აღზრდისთვის ჩვენი პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვისა და ყურადღების შედეგია.

საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მიღწევების ერთ-ერთი დიდი დათვალიერება მოსკოვის ოლიმპიური თამაშები იყო. ოლიმპიადების ისტორიაში პირველად, ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავდა სომხეთის 10 წარმომადგენელი. მაგრამ საქმე მხოლოდ ეს კი არ არის. რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენებმა მოიპოვეს 2 ოქროს, 3-3 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები და ბევრად გადააჭარბეს ჩვენი ოლიმპიელების წინანდელ მიღწევებს. ოლიმპიადაზე სულ 36 მსოფლიოს რეკორდი დამყარდა, აქედან 6 სომხეთის ათლეტებს ი. ვარდანიანსა (ლენინაკანი) და ი. სარქისიანს (ეჩმიაძინი) ეკუთვნით. ესეც ჩვენი სპორტის

(დასასრული მე-2 გვ).

## მოძმე სომხეთის სახელოვანი იუბილე

# ახალი წარმატებების გარანტია

დასასრული

გეოგრაფიის გაფართოებისა და ზრდის უტყუარი მაჩვენებელია.

ერევნიდან 40 კილომეტრზე მდებარეობს წახკაძორის შესანიშნავი სპორტული კომპლექსი. იქ მუდამ გაისმის ჩვენი ვრცელი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ სპორტსმენთა მხიარული ჟრიამული. აქ არა მარტო იჭედება სხვადასხვა ეროვნების სპორტსმენთა ოსტატობა, არამედ მტკიცდება მეგობრობა. კარგ ტრადიციად იქცა ცნობილ სპორტსმენთა შეხვედრები კოლმეურნეებთან, მოსწავლეებთან, მშრომელებთან. ამ შეხვედრებს დიდი სარგებლობა მოაქვს ორივე მხარისთვის.

ერევანში ყოველთვის დიდი სიყვარულით იგონებენ ცნობილ ქართველ ფეხბურთელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს გაიოზ ჯეჯელავას. 50-იანი წლების დასაწყისში იგი სომხეთში ჩამოვიდა ნორჩ ფეხბურთელთა სკოლის შესაქმნელად. ქართველი სპეციალისტის დახმარებამ ბევრად განაპირობა ტყავის ბურთის ოსტატთა სამჭედლოს შემდგომი მუშაობა. აქ აღიზარდა შესანიშნავ ფეხბურთელთა მთელი პლეადა—ოვანეს ზანაზანიანი, ალექსანდრე კოვალენკო, სერგეი ბონდარენკო, ნორიკ მესროპიანი, ნიკოლოზ კაზარიანი და სხვები.

ხშირად ხვდებიან ერთმანეთს ძველი სპორტული მეტოქე-მეგობრები — ვახტანგ ბალავაძე და ნორაირ მუშეღიანი, რუბენ ვარდანიანი და გივი კარტოზია და სხვ. ჩვენთან, წახკაძორში, სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე რეგულარულად ჩამოდიან მოძმე საქართველოს გუნდები ან ცალკეული სპორტსმენები — მოცურავეები, წყალში მხტომელები, ხუთჭიდელები. ჩვენ ყოველთვის გვიხარია მათი ჩამოსვლა, ერთობლივი ვარჯიში, რადგან ეს ამდიდრებს ჩვენი სპორტსმენების გამოცდილებას.

თავის მხრივ, ბაკურიანში, გაგრაში, სოხუმში ხშირად ვარჯიშობენ სომხეთის სპორტსმენებიც. ასეთი ურთიერთდახმარება, ჭეშმარიტი მეგობრობა ხელს უწყობს სპორტული ოსტატობის ამაღლებას, ახალ წარმატებათა მიღწევას დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

საბჭოთა სომხეთის სპორტსმენების მიღწევები მთელი საბჭოთა სპორტის წარმატებაა, ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის იდეის გამარჯვებაა, ამიტომაც ყოველნაირად ვეცდებით ღირსეული წვლილი შევიტანოთ საბჭოთა სპორტის მიღწევათა ყულაბაში. მომავალი წარმატებების გარანტიად გვესახება სპორტსმენთა მრავალათასიანი არმია, რომელთათვისაც საბჭოთა სომხეთში ყველა პირობაა შექმნილი.



## ოლიმპიადის გმირები

„ჩვენ უკვე ახალი პოზიციიდან უნდა შევაფასოთ ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობები“ — განაცხადა მოსკოვის თამაშებზე იური ვარდანიანის გამარჯვების შემდეგ პრეს-კონფერენციაზე ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა გოტფრიდ შიოდლომ (ავსტრია). მართლაც, ლენინაკანელი გოლიათის რეკორდმა განაცვიფრა იზმაილოვოს დარბაზში მსხდომნი. 82,5 კგ წონით კატეგორიაში სომეხმა ძალოსანმა ფანტასტიკური შედეგი აჩვენა—177,5 კგ ატაცში და 222,5 კგ აკვრაში. საშუალო წონით კატეგორიაში, ორჭიდის ჯამში პირველად მოაგროვა 400 კგ!

ს. ამბარცუმიანი,
მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი მძიმე წონაში.

□

აზარიანი... სპორტული სამყარო კარგად იცნობს არა მარტო „ჯვარის“ შეუდარებელ შემსრულებელს ალბერტ აზარიანს, არამედ მის შვილს, არანაკლებ ცნობილ ედუარდ აზარიანსაც, რომელიც ღირსეულად აგრძელებს გვარის ტრადიციებს.

ორი ოლიმპიური ჩემპიონი ერთ ოჯახში. მსგავსი რამ არ ყოფილა სომხეთში. ყველამ როდი იცის, რომ მოსკოვში ედუარდი ტრავმირებული ასპარეზობდა, მაგრამ სპორტსმენის სიჯიუტემ სძლია ყოველგვარ სატკივარს. უნდა აღინიშნოს, რომ ოლიმპიადის შემდეგ ედუარდი ბრწყინვალედ გამოვიდა სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, მსოფლიოს თასის გათამაშებაზე, კანადაში, შემდეგ ინგლისში დაიპყრო სპორტული ტანვარჯიშის ჭეშმარიტ თაყვანისმცემელთა გულები.

ა. აზნაურიანი,
სპორტის ოსტატი.

## ეს მუდამ ზეიმია



„გულითადი სალამი მოძმე საქართველოს ფეხბურთელებს!“ — ამ სიტყვებით ესალმება ერევნის 70-ათასიანი სტადიონი „რაზდანი“ თბილისის დინამოელებს. სომეხ და ქართველ ფეხბურთელთა მეგობრობას მდიდარი და კარგი ტრადიციები აქვს. ტყავის ბურთის შესანიშნავ ოსტატთა — ქართველ ფეხბურთელთა ყოველი ჩამოსვლა ნამდვილ სპორტულ ზეიმად იქცევა ხოლმე სომხეთის დედაქალაქის ფეხბურთის მოყვარულთათვის. ერევნელები სტადიონზე მიდიან, რათა უცქირონ დიდ ფეხბურთს, დიდოსტატთა სპორტულ პაექრობას. აი, რატომაა, რომ მწვანე მინდორზე თბილისელთა გამოჩენისას, მათკენ ყვავილების თაიგულებით ხელში სიხარულით გამორბიან ბიჭუნები.

ა. აბრამიანი,
„რაზდანის“ სტადიონის დირექტორი.

* * *

**სურათებზე:** გულთბილად ესალმება „რაზდანის“ ელექტროტაბლო სტუმრებს; სამახსოვრო სურათი მატჩის წინ.

## „საიუბილეო“ მზადაა სამასპინძლოდ

**საბჭოთა** სომხეთის 60 წლის იუბილეს დღეებში ქალაქ ოქტომბერიანში მწყობრში ჩადგა ახალი ათიათასადგილიანი სტადიონი. აი ამიტომ უწოდეს მას „საიუბილეო“.

სტადიონი გაიხსნა რესპუბლიკის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა დიდი ზეიმით. შეკრებილთ მიმართა საპატიო სტუმარმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ი. ბაგრამიანმა.

— 60 წლის წინათ — თქვა სახელგანთქმულმა სარდალმა — სწორედ ამ ადგილებში გვქონდა გადამწყვეტი ბრძოლები ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ, ჩვენ გავიმარჯვეთ ვერაგ მტერზე. ახლა კი, იგივე სარბიელზე დაე სპორტულმა გამარჯვებებმა გაგვახარონ.

„საიუბილეო“ — სომხეთში რიგით 24-ე სტადიონი — დღეს გულღიად მასპინძლობს ყველას: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მეგობრებო!“

ნ. მისაკიანი.

* * *

**სურათზე:** „საიუბილეო“ საზეიმო გახსნის დღეს.

რ. ეკეკიანის ფოტო.



**სომხეთში დღეს:**

- 3120 ფიზკულტურული კოლექტივია
- 1 მილიონი ფიზკულტურელი
- 1120 სპორტული დარბაზი
- 1154 სპორტული მოედანი
- 24 სტადიონი
- 45 საცურაო აუზი
- 100 საფეხბურთო მინდორი
- 75 სასროლეთი
- გასულ წელს რესპუბლიკაში სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა ერთ კაცს, მომზადდა 12 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 181 სპორტის ოსტატი, 2623 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი.

## ზეითუნელი ექიმი

**ზეითუნი** ერევნის ერთ-ერთი ახალი საცხოვრებელი მასივია, დღითიდღე რომ იზრდება და მშვენდება.

„ბავშვთა რესპუბლიკური სპეციალიზებული სროლის სკოლა“ — ასე აწერია ამ ლამაზი ორსართულიანი შენობის აბრას. უკვე 9 წელიწადია ეუფლებიან აქ ნორჩი სომეხი სპორტსმენები ტყვიის სროლის საიდუმლოებას.

— ბევრი სახელოვანი ოსტატი გაიზარდა ჩვენთან, — გვეუბნება სკოლის დირექტორი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი იური სიმონიანი (სწორედ ის ავარჯიშებს პირადად ევროპის არაერთგზის ჩემპიონსა და მსოფლიოს რეკორდსმენს პისტოლეტიდან სროლაში, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ზინაიდა ზოლოტნიკოვას) — სსრ კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, სპორტის ოსტატი შაშხანიდან სროლაში არამ ავეტისიანი, მოსწავლეთა საკავშირო პირველობის მეორე და მესამე პრიზიორები, ოსტატობის კანდიდატები სათენიკ მალაციანი (პისტოლეტი) და გოჰარ კოლიანი (შაშხანა)...

ქართველი მკითხველისათვის, ალბათ, საინტერესო იქნება ვაცნობოთ, რომ სკოლის ჯანმრთელობის პუნქტს აქ განაგებს თბილისელი ექიმი რაია ბოჩაროვა. რაიამ 1974 წელს ერევნის სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულის დიპლომით შეაღო სკოლის კარი და ამ დღიდან აქ მოღვაწეობს. სპორტის ოსტატი ტყვიის სროლაში რ. ბოჩაროვა საქართველოს ჩემპიონი (შაშხანა) იყო 1964 წელს. უფრო ადრე კი, 10 წლის ასაკში თბილისის გოგონათა პირველობაზე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა სპორტულ ტანვარჯიშში....

გულმოდგინე ექიმი თავისუფალ დროს მწვრთნელობასაც მისდევს: მეორე წელიწადია 11-12 წლის გოგონათა ჯგუფს ავარჯიშებს და უკვე გარკვეული წარმატებები აქვს — ერევნელმა მე-9 კლასელმა მოსწავლეებმა, 15 წლის პირველთანრიგოსნებმა ნატალია ნასიბიანმა და გაიანე ხაჯიანმა სსრ კავშირის გოგონათა პირველობაზე II და III საპრიზო ადგილები მოიპოვეს ტყვიის სროლაში.

...სკოლის საექიმო პუნქტში ნორჩ სპორტსმენთა შემოწმებაა. ექიმი რაია ბოჩაროვა გულდასმით სინჯავს პატარა მსროლელებს — როგორ აიტანეს მათ მორიგი ვარჯიში, 1,5 საათიანი დატვირთვა, მზად არიან თუ არა ისინი ხვალინდელი შეჯიბრებისთვის.

ი. გალსტიანი.

## მხარიმხარ

**ეს** სურათი გადაღებულია მოსკოვის ოლიმპიადის დღეებში. მასზე გამოსახული არიან XXII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში მარტინა იაშკე (გდრ) ოლიმპიურ პრიზიორებთან — ქართველ ლიანა ცოტაძესთან და სომეხ სირვარდ ემირზიანთან ერთად. საბჭოთა სპორტსმენებს შორის გამართულ მწვავე ბრძოლაზე „მშრალი“ ციფრებიც კი მეტყველებენ: ემირზიანმა ჯამში 576,465 ქულა მოაგროვა, ცოტაძემ — 575,925. ბოლო წლებში სწორედ მათი გამოსვლები ამშვენებს წყალში მხტომელთა ნებისმიერ შეჯიბრებას. ალბათ ყველამ როდი იცის, რომ ეს სიმპათიური გოგონები არა მარტო მეტოქეები არიან, არამედ გულითადი მეგობრებიც. ისინი მოსკოვის თამაშების დღეებშიც კი ერთ ოთახში ცხოვრობდნენ ოლიმპიურ სოფელში. ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ გეგმებსა თუ „საიდუმლოებებს“, ამაში არაფერია გასაკვირი. ასეთი ურთიერთდამოკიდებულება ეხმარება უკეთ მოემზადონ შეჯიბრებისთვის. გვჯერა, რომ ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდება, მრავალჯერ ვიქნებით ამ ორი მეგობრის — სტუდენტ ლიანა ცოტაძისა და მოსწავლე სირვარდ ემირზიანის საინტერესო ასპარეზობის მოწმე.

ს. ტურებეკიანი.

* * *

**სურათზე:** მრავალი გაზეთის ფურცლები მოიარა ამ სამი მოღიმარი გოგონას ფოტოსურათმა — ლიანა ცოტაძემ, მარტინა იაშკემ, სირვარდ ემირზიანმა მოსკოვის ოლიმპიურ აუზში ეს-ესაა დაამთავრეს დავა და XXII თამაშების მედლები გაინაწილეს.

მასალები მოამზადა ო. ნოზაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სსრ კავშირის ჩემპიონატი



# პირველი წრის ფინიშთან

**თბილისი. სპორტის სასახლე. 27 ნოემბერი.**

**„დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (ნოვოსიბირსკი) 110:91 (61:41).**

**„დინამო“: ვ. ძიძიგური (9), ბოროდაჩოვი, გრძელიძე (18), ნათობიძე, ჩიხლაძე (8), ქორქია (8), დერიუგინი (30), გულდედავა (10), ბაბუნაშვილი (2), პულავსკი (2), სინჯარაძე (23).**

**„ლოკომოტივი“: ბრიზგალოვი, პოტაპოვი (2), კაზარეევსკი (14), დენისენკო (18), სინელნიკოვი (2), ინდანი (9), ერმოლინსკი (12), ბულარევი (8), ერმოლოვი (6), როჟკოვი (12), შიალოვი (8).**

**მსაჯები ლ. ვაინერმანი (კიევი), რ. ხალმუხამედოვი (ტაშკენტი).**

მართალია, სპორტში წინასწარ გამარჯვებულნი არ არსებობენ, მაგრამ არსებობენ ფავორიტები, რომელთა პრიორიტეტი უდავოა. რას მოველოდით გუშინწინდელი მატჩიდან? რა თქმა უნდა, გამარჯვებას. ეს არც უცაბედად მოსული აზრია და არც მომეტებული ოპტიმიზმი. დასაწყისშივე ცხადი გახდა, რომ „ლოკომოტივი“ მეტოქეს ვერ გაუმკლავდებოდა. სტუმრებმა მხოლოდ შუა ტაიმში და მეორის დასაწყისში „გაიბრძოლეს“, თუმცა ეს მხოლოდ იმიტაცია იყო. ერთი სიტყვით, მსაჯის საფინალო სასტვენმა უშედავათო ბრძოლას კი არ დაუსვა წერტილი, იურიდიულად დაამტკიცა საბოლოო შედეგი.

ქულათა სოლიდურ უპირატესობას რომ მიაღწიეს, დინამოელთა მწვრთნელებმა ექსპერიმენტს მიმართეს — ამ დღეს მოედანზე თითქმის ყველა სათადარიგო მოთამაშე ვიხილეთ. ეს ნაბიჯი, რა თქმა, უნდა, მისასალმებელია. სწორედ სინჯარაძეს, ვ. ძიძიგურს, ბაბუნაშვილს, ნათობიძეს და მათს თანატოლებს მოუწევთ ხვალ და ზეგ იმ მძიმე ტვირთის ტარება, ქართული კალათბურთის პრესტიჟი რომ ჰქვია. მეორე ტაიმი „დინამომ“ ფაქტიურად ახალგაზრდული შემადგენლობით ჩაატარა; მხოლოდ ეპიზოდურად ერთვებოდნენ თამაშში ჩიხლაძე, პულავსკი, გულდედავა, ქორქია. მართალია, „მეორე ეშელონის“ თამაშის იერ-სახის მხოლოდ კონტურებია გამოკვეთილი, ჯერ კიდევ იგრძნობა სიჩქარე, მოჭარბებული ინდივიდუალიზმი, გადაცემებისა და ტყორცნების სიზუსტის არასტაბილურობა, მაგრამ ეს თვისებები ვარჯიშთან ერთად უშუალოდ სპორტული პაექრობის დროს უნდა დაიხვეწოს. „ლოკომოტივთან“ მატჩში განსაკუთრებით საიმედოდ მოქმედებდა სინჯარაძე — დაცვაშიც ასწრებდა და ქულებიც საკმაოდ მოუტანა კოლექტივს (23). დერიუგინის ანგარიშზე 30 ქულა მოდის. დინამოელთა ცენტრალური თავდამსხმელი დღითიდღე შედის ჩვეულ სპორტულ ფორმაში და ეს სასიხარულო ამბავია, თუმცა დერიუგინის მისამართით შენიშვნა მაინც უნდა გამოვთქვათ: უადგილო, მომეტებულ სითამამეს, მსაჯებთან ხშირ კამათსა და წვრილმან კინკლაობას გამართლებას ვერ მოუძებნი. სპორტსმენს, მით უმეტეს მაღალი კლასისას, ეს არ ეკადრება.

მაშ ასე, პირველი წრე ფინიშის სწორზე გავიდა. რა მდგომარეობაა სატურნირო ცხრილში?

როგორც ყოველი შედარება საერთოდ, სპორტული კოლექტივების შედარებაც გარკვეულწილად პირობითია. თუმცა, ეგრეთ წოდებული „რანგთა ტაბელი“, ოფიციალური თუ არაოფიციალური, მაინც არსებობს. აქ, პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს გუნდის რეალური შესაძლებლობანი, ჩვეულებრივ პოტენციას რომ ვეძახით. პოტენცია კი თავისთავად საკმაოდ მყარი რამ გახლავთ. აბა, ვის მოუვა აზრად ეჭვი შეიტანოს ცსკა-ს პრიორიტეტში? აგერ უკვე მერამდენე წელიწადია არმიელებს ხელთ უპყრიათ საბჭოთა კალათბურთის ერთპიროვნული ლიდერის კვერთხი და საკავშირო ჩემპიონატში პირველი ადგილი ფაქტიურად „დაჯავშნული“ აქვთ. სულ სხვა საკითხია, კარგია ეს ტენდენცია თუ ცუდი. მოსკოვის ოლიმპიადაზე თვალნათლივ გამოჩნდა „ერთხელისუფლებიანობის“ უარყოფითი მხარეები და ეს საკავშირო პრესაშიც არაერთხელ აღინიშნა.

ასეა თუ ისე, დღესდღეობით უმაღლესი ლიგის ბინადარნი მხოლოდ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძვიან. ამ „მიკრო-ტურნირში“ ჯერჯერობით საუკეთესო აქტივი „სპარტაკსა“ და „სტატიბას“ აქვს. პირველი წრის ფინიშზე ზედიზედ 4 გამარჯვების შემდეგ საგრძნობლად გამოსწორდა თბილისის „დინამოს“ სატურნირო მდგომარეობა. რასაკვირველია, ეს 8 ქულა ბრძოლით, მხოლოდ ბრძოლით იქნა მოპოვებული და ამას არავინ უარყოფს. თუმცა ერთი საყურადღებო დეტალი არ უნდა გამოგვრჩეს: დინამოელებმა ოთხივე მატჩი საკუთარ მოედანზე ჩაატარეს. ერთი სიტყვით, ეს მომენტი თვითდამშვიდების უფლებას არ იძლევა. „დინამო“ ჯერ კიდევ ეძებს „თავის თავს“, ანუ საკუთარ ხელწერას, ეძებს მოთმინებით და რწმენით. ამ პროცესისთვის კი რამდენიმე მატჩი კი არა, შეიძლება მთელი სეზონი საკმარისი არ აღმოჩნდეს.

ე. ბერიშვილი.



* * *

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: სინჯარაძემ (№ 16) ეს-ესაა „ჩამოხსნა“ ბურთი საკუთარი ფარიდან; დერიუგინი ბურთისთვის ბრძოლაში.**

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ბ | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 11 | 11 | 1125—866 | 22 |
| „სპარტაკი“ | 12 | 8 | 949—990 | 20 |
| „სტატიბა“ | 11 | 8 | 996—982 | 19 |
| „დინ.“ მ. | 12 | 7 | 1198—1188 | 19 |
| „სტროიტ.“ | 10 | 7 | 838—806 | 17 |
| „დინ.“ თბ. | 11 | 6 | 937—1000 | 17 |
| ასკ კ. | 11 | 5 | 966—941 | 16 |
| რტი | 11 | 4 | 939—942 | 15 |
| „კალევი“ | 11 | 4 | 863—894 | 15 |
| „ჟალგ.“ | 10 | 4 | 837—843 | 14 |
| „უნივერს.“ | 10 | 4 | 788—878 | 14 |
| „ლოკომ.“ | 11 | 2 | 937—1035 | 13 |
| ვეფ-ი | 11 | 1 | 996—1004 | 12 |

# ბრძოლაში გამოვაწრთოთ...

**დღეს** ქართულ კალათბურთზე, კერძოდ კი მის ლიდერ თბილისის „დინამოზე“ უსასრულოდ შეიძლება ლაპარაკი, რადგან გუნდი მთელი რიგი პრობლემების წინაშე დგას. ერთ-ერთი მათგანი და, ვფიქრობთ, ყველაზე მთავარი, როგორც თვით ამ სახეობის წარმომადგენლები ამბობენ — „გრძელი სკამის“ საკითხია. ახლა ამის მიზეზების კვლევა ძალზე შორს წაგვიყვანდა, რადგან იგი საკითხთა მთელ კომპლექსს მოიცავს. ერთ-ერთი კი, რაც თვალში გვხვდება, ისაა, რომ იმ თაობისა, რომელიც დღეს „დინამოში“ მოვიდა და გუნდის ძველი წევრების ასაკში განსხვავება 12-14 წელია. რამ წარმოშვა ასეთი ვაკუუმი? ვფიქრობთ, პირველ რიგში იმან, რომ ჩვენს მოზარდთა სპორტულ სკოლებში მუშაობა სათანადო დონეზე არ დგას, რის გამოც დღემდე იქიდან „დინამოს“ შევსება არ მიუღია...

მიუხედავად ამისა, გუნდში მაინც არის ისეთი ახალგაზრდობა, რომელმაც დღეს თუ არა ხვალ თავისი სიტყვა უნდა თქვას. მაგრამ მათი ტალანტი რომ გაიფურჩქნოს, დიდი შრომა და სათამაშო პრაქტიკაა საჭირო.

ერთ-ერთ იმედისმომცემ და ნიჭიერ სპორტსმენად დღეს დინამოელთა შორის ი. ბოროდაჩოვი ითვლება. ამაში ყველა ერთხელ კიდევ დავრწმუნდით მინსკის რტისთან შეხვედრაში, სადაც მან შესანიშნავი „გაორებული ცენტრი“ შექმნა ძირითად მოთამაშე დერიუგინთან ერთად. ეჭვს გარეშეა, რომ ეს კარგად ენიშნა გუნდის ხელმძღვანელობასაც. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ბოროდაჩოვს ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მართებს სხვადასხვა ილეთებისა და კომბინაციების დასახვეწად. ამას მოკრივეები ჩვეულებრივ სპარინგ-პარტნიორებთან საწვრთნელ შეხვედრებში აკეთებენ. სწორედ ასეთი სპარინგ-პარტნიორი ჰყავდათ დინამოელებს საკავშირო პირველობის გასულ მატჩში ნოვოსიბირსკის ლოკომოტიველთა სახით. თანაც ეს არ იყო საწვრთნელი შეხვედრა, არამედ ნამდვილი ოფიციალური ორთაბრძოლა, სადაც იწრთობა ხასიათი, იხვეწება ოსტატობა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბოროდაჩოვმა სულ რამდენიმე წუთი ითამაშა. ვფიქრობთ, ეს ნიჭიერი მოთამაშე უფრო მეტ ხანს უნდა ყოფილიყო მოედანზე, ამას გვკარნახობს მთლიანად გუნდის სტრატეგიული გეგმაც, რომლის განხორციელება შეუძლიათ ისეთ მოთამაშეებს, ვინც დარწმუნებულია თავის ძალაში და მოდით, ნუ დავუკარგავთ მათ ამ რწმენას!

უ. ჭიჭინაძე.

## ● ფეხბურთი

### კარიბის ზღვის ზონაში

**დამთავრდა** ფეხბურთში 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩრდილოეთ ამერიკის ზონის შესარჩევი ტურნირი. ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა შინ ანგარიშით 2:1 დაამარცხა მექსიკის გუნდი, მაგრამ ჩრდილოეთ, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების ზონათა ფინალურ გათამაშებაში ფინალის საგზურის მისაღებად კანადისა და მექსიკის გუნდები გავიდნენ.

საბოლოო მდგომარეობა ჩრდილოეთ ამერიკის ჯგუფში ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|
| კანადა | 4 | 1 | 3 | 0 | 4—3 | 5 |
| მექსიკა | 4 | 1 | 2 | 1 | 8—5 | 4 |
| აშშ | 4 | 1 | 1 | 2 | 4—8 | 3 |

გაიმართა, აგრეთვე, მორიგი შეხვედრა ცენტრალური ამერიკის ქვეყნების ჯგუფში, სადაც გამოდიან სალვადორის, გვატემალის, ჰონდურასის, კოსტა-რიკისა და პანამის გუნდები.

სალვადორელმა ფეხბურთელებმა საკუთარ მინდორზე დაამარცხეს ჰონდურასის ნაკრები — 2:1.

### მინი-ჩემპიონატზე

**ურუგვაელ** ფეხბურთელთა პირველ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებისადმი მიძღვნილი მსოფლიოს მინი-ჩემპიონატი, როგორც ცნობილია, 30 დეკემბერს დაიწყება მონტევიდეოში და დამთავრდება 1981 წლის 10 იანვარს. უკვე გამოთვლილია, რომ ტურნირმა ორგანიზატორებს 3,4 მილიონი დოლარი მოგება უნდა მოუტანოს.

მასპინძელთა ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა ჟურნალისტთა მიღება და დაბინავება. თითოეულ მონაწილე ქვეყანას უფლება აქვს 125 ადგილი ივარაუდოს „სენტენარიოს“ სტადიონის პრესის ლოჟაში და 40 ფოტოკორესპონდენტი იყოლიოს უშუალოდ მინდორზე. მაგრამ, ამას გარდა, შეჯიბრებაზე თავიანთ მიმომხილველებს აგზავნიან ბევრი ქვეყნის ეროვნული ფედერაციები და სპორტული ასოციაციები.

ყველაფერს ამას თავი უნდა გაართვას ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეს-ატაშემ რენე კურტმა.

### უეფა-ს თასზე

**გასულ** ოთხშაბათს გაიმართა უეფა-ს თასის გათამაშების III წრის პირველი შეხვედრები.

საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ჰამბურგის მატჩის შედეგი ადგილობრივ „ჰამბურგერ შპორტფერაინსა“ (გფრ) და საფრანგეთის „სენტ-ეტიენს“ შორის. ფრანგი ფეხბურთელები თავიანთ განთქმულ მეტოქეზე ერთი თავით მაღლა იდგნენ და 5 „მშრალი“ ბურთიც გაიტანეს მის კარში.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია:

„აინტრაჰტი“ (გფრ) — „სოშო“ (საფრანგეთი) 4:2

„იფსვიჩი“ (ინგლისი) — „ვიძევი“ (პოლონეთი) 5:0

„რადნიჩკი“ (იუგოსლავია) — „აზ-67“ (ჰოლანდია) 2:2

„ლოკერენი“ (ბელგია) — „რეალი“ (სან-სებასტიანი, ესპანეთი) 1:0

„შტუტგარტი“ (გფრ) — „კიოლნი“ (გფრ) 3:1

„სტანდარდი“ (ბელგია) — „დინამო“ (დრეზდენი, გდრ) 1:1

„გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) — „ტორინო“ (იტალია) 2:1

### რ. შენგელიას გოლი

**ტუნისი.** აქ დაიწყო სსრ კავშირის ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები გუნდის ტურნე. პირველი ამხანაგური მატჩი შედგა ქ. სუსში, სადაც საბჭოთა სპორტსმენებმა გამარჯვება მოიპოვეს ტუნისის ახალგაზრდულ ნაკრებთან შეხვედრაში — 1:0. გოლი გაიტანა თბილისის დინამოელმა რ. შენგელიამ.

### ვინ გადახურულში, ვინ გარეთ!

**ჩვენი** გაზეთის მკითხველთა ჯგუფი გვეკითხება: „შეიძლება თუ არა ერთი და იმავე ქალაქში, ერთი და იმავე დღეს, გაიმართოს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 2 კალენდარული შეხვედრა, ამასთან ერთმა წყვილმა ითამაშოს ღია სტადიონზე, ხოლო მეორემ — დახურულ დარბაზში. კერძოდ, 21 ნოემბერს მოსკოვის „დინამო“ და ტაშკენტის „ფახთაქორი“ ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა-ს მძლეოსნურ-საფეხბურთო კომპლექსის დახურულ დარბაზში, ხოლო მოსკოვის „ტორპედომ“ და ბაქოს „ნეფთჩიმ“ ითამაშეს ავტოქარხნელთა ღია სტადიონზე. თუ ტორპედოელთა მინდორზე მსაჯმა შესაძლებლად მიიჩნია თამაშის ჩატარება, რატომ მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე არ შეიძლებოდა იგივე მომხდარიყო? ამინდი ხომ ერთი იდგა მოსკოვში?“

ამ საკითხზე ფეხბურთის საკავშირო ფედერაციიდან მივიღეთ შემდეგი განმარტება: „მოსკოვის „ტორპედოს“ სტადიონზე, პირველად ჩვენს ქვეყანაში, ფინელ სპეციალისტთა დახმარებით დამონტაჟდა საფეხბურთო მინდვრის ხელოვნური გათბობა. ბალახში 20 სანტიმეტრის სიღრმეზე ჩაწყობილია ელექტროკაბელები, რომლებიც 10-18 გრადუს სითბოს წარმოქმნიან მინდვრის საფარველში, ხოლო თვით გაზონზე იქმნება თბილი ჰაერის გარკვეული „ბალიში“.

ამიტომაა, რომ მსაჯმა შესაძლებლად მიიჩნია მატჩის ჩატარება „ტორპედოს“ ღია სტადიონზე“.

### ფეხბურთი ტელეეკრანზე

**საკავშირო** ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა რედაქციამ კარგი საჩუქარი მოუმზადა სპორტის მოყვარულებს, კერძოდ, ფეხბურთის გულშემატკივრებს. გარკვეული პერიოდულობით ეთერში გადაიცემა ახალი რუბრიკა „საფეხბურთო მიმოხილვა“, რომელსაც აწარმოებენ ცნობილი მიმომხილველები ნ. ოზეროვი და ვ. პერეტურინი.

ბევრი რამაა საინტერესო ამ გადაცემებში: საკავშირო ჩემპიონატის მატჩების ფრაგმენტები, გატანილი გოლები, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრათა საინტერესო მომენტები, მოკლე ჩანახატები ვეტერან ფეხბურთელთა თამაშის ისტორიიდან, სამამულო ფეხბურთის ნარსულის ფურცლები. ერთი სიტყვით, თემატიკა მრავალფეროვანია, გულშემატკივრებს ვურჩევთ არ გააცდინონ არც ერთი გადაცემა.

მაგალითად, ბოლო მიმოხილვებში გვესაუბრა განთქმული მეკარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. იაშინი, ვნახეთ მრავალი საინტერესო გოლი, გავეცანით დუშანბეს „პამირის“ უფროს მწვრთნელს მ. ტუნისს, ვნახეთ თუ როგორ თამაშობდნენ ფეხბურთს მოსკოვში რამდენიმე ათეული წლის წინ და ა. შ.

მაგრამ გავიხსენოთ საქართველოს ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა რედაქციის შესანიშნავი ინიციატივაც, რომელიც თავის „სპორტულ კალეიდოსკოპში“ აგერ უკვე რამდენი წელია სისტემატურად გადასცემს დიდ საფეხბურთო შეჯიბრებათა (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, ევროპის საკლუბო ტურნირები, მნიშვნელოვანი საერთაშორისო მატჩები) ამსახველ ეპიზოდებს, რაც მუდამ გულშემატკივართა შეუნელებელ ინტერესს იწვევს. გადაცემის თემატიკის გაფართოება, ქართული ფეხბურთის ისტორიის ჩვენება, ჩვენი ძველი მოთამაშეების გახსენება, მათი ოსტატობის ილუსტრაცია კიდევ უფრო გაამრავალფეროვნებს და გაამდიდრებს „სპორტული კალეიდოსკოპის“ მეტად საყურადღებო საფეხბურთო გადაცემებს.

### ფინალში გავიდნენ

**ფოთი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.).** აქ დამთავრდა მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშება „გადასასვლელის“ ზონალური ტურნირი, სადაც ფინალში გასასვლელად იბრძოდნენ: საქართველოს, ბელორუსიის, ლატვიისა და ლიტვის გუნდები.

27 ნოემბერს მასპინძელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ლატვიის გუნდი და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. ჩვენს გუნდს ხელმძღვანელობენ სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ანთაძე და რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი გ. მამალაძე.

## ქრონიკა

### ● თხილამურები

**ქალაქ** ბელორეცკში 20-25 ნოემბერს გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი ტური სამთო-სათხილამურო სპორტში.

გიგანტურ სლალომში კარგად იასპარეზეს ქართველმა სპორტსმენებმა. ქალთა შორის პირველობა მოიპოვა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა მერი კოზანაშვილმა („კოლმეურნე"), ხოლო ვაჟებში სპორტის ოსტატი სტეფანე მიქაბერიძე (ასკ) II ადგილზე გამოვიდა.

1-7 დეკემბერს გაიმართება გათამაშების II ტური — იგი დანიშნულია მინიარში (ჩელიაბინსკის ოლქი).

### ● ხელბურთი

**შიაულიაიში** გრძელდება ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. 27 ნოემბერს ლიდერებმა ერთმანეთთან დავაში ქულები გაიყვეს: ცსკა-მ კაუნასის „გრანიტასთან" — 27:27 (15:13), თბილისის „ბურევესტნიკმა" — მინსკელ არმიელებთან — 18:18 (10:10).

სხვა შეხვედრები ამ დღეს ასე დამთავრდა: „კუნცევო" (მოსკოვი) — „ცელტნიეკსი" (რიგა) — 27:20 (11:10), ფიზკ (კრასნოდარი) — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) 23:20 (13:10), ასკ (კიევი) — „ზაპოროჟალუმინსტროი" 30:18 (17:7), ინდუსტრიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) — ასკ (ლვოვი) 26:22 (16:11).

**გეტებორგის** სპორტულ დარბაზ „ლინდესბერგ-ჰალენში" გაიმართა შვეციის ხელბურთის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საინტერესო მატჩი. ამ ქვეყნის ნაკრებმა უმასპინძლა მსოფლიოს „ვარსკვლავების" ნაკრებს. შეხვედრა მოიგეს სტუმრებმა — 28:24 (17:11). „ვარსკვლავების" ნაკრებში შვედი კომენტატორები განსაკუთრებით გამოყოფდნენ საბჭოთა ოსტატ ი. კიდიაევს, რომელმაც 5 გოლი გაიტანა და უნგრელ პ. კოვაჩს, რომელმაც სამჯერ აიღო მასპინძელთა კარი.

შვედი ხელბურთელებიდან გამოირჩეოდა კ. რიბენდალი — 8 გოლი.

### ● თავისუფალი ჭიდაობა

**ანკარაში** გაიმართა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობით აღინიშნა. მათ 6 ოქროსა და 2 ვერცხლის მედალი დაიმსახურეს.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: რ. დმიტრიევმა (სსრკ), ა. საიხანლიმ (თურქეთი), გ. კალჩევმა (ბულგარეთი), ბ. იბრაგიმოვმა (სსრკ), ფ. შეკერმა (თურქეთი), ნ. გენჩალპმა (თურქეთი), გ. დანკომ, ვ. ბატნიამ, ხ. ორცუევმა და ს. ხასიმიკოვმა (ყველა—სსრკ). საბჭოთა ათლეტებიდან მეორენი იყვნენ მ. ხარაჩურა და ნ. ვორობიოვი.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ათლეტები.

● ჭადრაკი

## მნიშვნელოვანი შეხვედრები

**მალტის** დედაქალაქ ლავალეტაში გრძელდება ვაჟთა XXIV და ქალთა IX საჭადრაკო ოლიმპიადები. ბრძოლა სულ უფრო მძაფრდება, რასაც შეჯიბრების შვეიცარიული სისტემაც უწყობს ხელს. ამ სისტემის მიხედვით ყოველ ტურში ერთმანეთს ხვდებიან დაწინაურებული გუნდები, რომლებსაც ქულათა ერთნაირი, ან დაახლოებით ერთნაირი რაოდენობა აქვთ.

ოთხშაბათს და ხუთშაბათს გაიმართა VI და VII ტურების შეხვედრები. ვაჟთა შორის VI ტურში საბჭოთა მოჭადრაკეებმა დაამარცხეს ჰოლანდიის ნაკრები — 3:1. ი. ბალაშოვმა კარგი სტილით ფარხმალი დააყრევინა ვან დერ ვილს. გ. კასპაროვმა დაამარცხა ლიგტერინკი. მსოფლიო ჩემპიონმა ა. კარპოვმა ი. ტიმანთან პარტიაში კარო-კანის დაცვა გაითამაშა და ახალი გაგრძელება გამოიყენა. ჰოლანდიელი დიდოსტატი ცდუნებას არ აჰყვა და ფიგურის შეწირვით მუდმივი ქიშის გამოცხადება ამჯობინა. ყაიმს დასჯერდა სსრ კავშირის ჩემპიონი ე. გელერიც.

ესპანელებთან ჩვენი ქალების შეხვედრაში გუნდს პირველი ქულა მოუტანა ნ. გაფრინდაშვილმა, რომელმაც დამაჯერებლად მოუგო გარსია-პადრონს. რამდენიმე წუთის შემდეგ გაიმარჯვეს მსოფლიო ჩემპიონმა მ. ჩიბურდანიძემ გარსიასთან და ნ. იოსელიანმა — კუევასთან.

VII ტურში ყურადღების ცენტრში იყო უნგრეთისა და საბჭოთა მოჭადრაკე ვაჟთა მატჩი, რომელიც ყაიმით დამთავრდა — 2:2, დაზავდნენ ა. კარპოვი — ლ. პორტიში, ლ. პოლუგაევსკი — ზ. რიბლი, მ. ტალი — დ. საქსი, გ. კასპაროვი — ი. ჩომი. კვლავ გაიმარჯვეს საბჭოთა ქალებმა — 2,5:0,5, ამჯერად რუმინეთის გუნდთან, რომელმაც წინა დღეს ყაიმით (1,5:1,5) დაასრულა მატჩი უნგრელებთან.

რუმინელებთან შეხვედრაში პარტიები მოიგეს ჩიბურდანიძემ პოლიქრონიადესთან და გაფრინდაშვილმა ბაუმშტარკთან. ყაიმს დასჯერდა ნ. ალექსანდრია მურეშანთან.

უნგრეთის მოჭადრაკეებმა დაამარცხეს გფრ-ის ნაკრები — 2,5:0,5 და ლიდერობას განაგრძობენ.

ამრიგად, 7 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ვაჟთა შორის — უნგრეთი — 20,5, იუგოსლავია — 19,5 და სსრ კავშირი — 19, ქალებში — უნგრეთი — 16,5, სსრ კავშირი — 16, პოლონეთი — 14, რუმინეთი — 13,5.

### საიუბილეო...

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს მოჭადრაკე ვაჟთა საიუბილეო, XXX ჩემპიონატი. ტურნირში მონაწილეობს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის და რუსთავის 13 წარმომადგენელი, მათ შორის ოსტატი დ. გედევანიშვილი და 10 ოსტატობის კანდიდატი. პირველთანრიგოსანთაგან დიდ ინტერესს იწვევს ქუთაისის 1-ლი საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლის ნ. მანაგაძის გამოსვლა (მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი გ. ქანთარია).

5 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ოსტატობის კანდიდატი გ. ხაილენკო (თბილისი) — 4, დ. გედევანიშვილი — 3,5 და ოსტატობის კანდიდატი ა. თემურაზიანი (თბილისი) — 3.

ჩემპიონატი 7 დეკემბრამდე გასტანს.

**გ. ფამილიანტი,**
**ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

## მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში

### ოლიმპიადის ექო

**კუბაში** გამოუშვეს საფოსტო მარკების სერია დევიზით „კუბელთა ოლიმპიური გამარჯვებები". მათზე გამოსახულნი არიან ტყავის ხელთათმანის ოსტატები, აგრეთვე, შუბის მტყორცნელი მარია კოლონი — ისინი, რომლებმაც მოსკოვის XXII თამაშების ოქროს მედლები მოიპოვეს.

### „თვის სპორტსმენი"

**გაზეთ** „დოიჩეს შპორტეხოს" ტრადიციული გამოკითხვის შედეგად გდრ-ის ოქტომბრის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს ცნობილი ტანმოვარჯიშე რ. ბრიუკნერი. მის წარმატებას ხელი შეუწყო კანადის ქალაქ ტორონტოში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშებაში 3 იარაღზე გამარჯვებამ.

24 წლის სპორტსმენი, მომავალში ფიზაღზრდის მასწავლებელი, თავის სპორტულ კარიერაში ყველაზე დიდ გამარჯვებად მიიჩნევს მოსკოვის ოლიმპიადაზე თავისუფალ ვარჯიშში ოქროს, აგრეთვე, 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედლის მოპოვებას. ბრიუკნერის ნიჭი პირველად გამოვლინდა გდრ-ის ბავშვთა 1972 წლის სპარტაკიადაზე, სადაც მან 5 პირველი ჯილდო მოიპოვა.

### საკუთარი ძალებით

**ბულგარეთის** პორტ ბურგასიდან 16 კილომეტრით დაშორებული პარკი „როსენეცი" მშრომელთა დასვენების შესანიშნავ კერად გადაიქცა. მაგრამ აქ არ იყო სპორტული ნაგებობანი. ახლა ეს ნაკლიც გამოსწორდა: მწყობრში ჩადგა ხელბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის მოედნები და მძლეოსნობის სარბიელი. ამ პროფკავშირული სპორტული კომპლექსის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანეს თვითონ მშრომელებმა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ შაბათობებში (საკდესი).

## 1912 წელს, წაღვერში...

**გამახსენდა** ერთი ეპიზოდი წარსულიდან, რომელიც ჩვენი ფეხბურთის სათავეებისკენ გვახედებს და, შესაძლოა, ამ სახეობის მოყვარულთათვის ინტერესმოკლებული არ იყოს.

ეს მოხდა 1912 წლის ზაფხულს. წაღვერში ფეხბურთელთა გუნდი შეედგინათ სტუდენტ-მოაგარაკეებს. ერთ-ერთმა ფეხბურთელმა, ვინმე აირაპეტოვმა (იგი შეძლებულ მამას შვეიცარიაში გაეგზავნა სასწავლებლად, ვინაიდან ბათუმის გიმნაზიაში აკადემიური წარმატება არ აღმოსჩენოდა. შვეიცარიაში, არ ვიცი დაეუფლებოდა თუ არა განათლებას, ფეხბურთის ილეთები კი მშვენივრად აეთვისებინა), წაღვერშიც მოისურვა ფეხბურთის წრის ჩამოყალიბება და ვარჯიში.

როგორც ცნობილია, ჩვენი სასიქადულო პოეტი იოსებ გრიშაშვილი საგარაკოდ წაღვერს რჩებოდა ხოლმე. იმ წელსაც აქ გაატარა მან ზაფხული, ამოდიოდა ბაკურიანშიც. ჩვენ, მოაგარაკე სტუდენტობა, სიხარულით ვხვდებოდით უკვე სახელმოხვეჭილ მგოსანს, რომელიც სულ რამდენიმე წლით თუ იქნებოდა ჩვენზე უფროსი. ჩვენს კამპანიაში ყოფნა ახალისებდა პოეტს, სტუდენტებიც არ ვაკლებდით მას ყურადღებას და პატივისცემას.

ერთ მშვენიერ დღეს წაღვერელმა ფეხბურთელებმა ბაკურიანელი სტუდენტები გამოიწვიეს მატჩში და, ვფიქრობ, უგრიშაშვილოდ არ გადაწყვეტილა ეს ამბავი. უცილობლად პოეტის ინიციატივით იქნებოდა ნაკარნახევი ეს გამოწვევა. ასეა თუ ისე, გულახდილად ვიტყვი, ბაკურიანში მყოფი სტუდენტები ვაჟკაცობაში არავის დავუდებდით ტოლს, მაგრამ ინგლისური ყაიდის ბურთის თამაშზე იმხანად ერთობ შორეული და ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა. ისე კი, ლელო-ბურთის გატანაში არც ერთი არ ვიყავით ხამი. თავს ვინუგეშებდით: ბოლოსდაბოლოს, ბურთის თამაშია, მეტი ხომ არაფერი, წავიდეთ ჩავუხტეთ წაღვერელებსო.

დავსხედით „კუკუშკაში" და ჩავედით წაღვერში, აქ დაგვხვდნენ გოლკიპერი, ფორვარდები, ბეკები და ჰავბეკები! ჩვენ თუმცა, პირველად გვესმოდა ასეთი „ტერმინები", აინუნშიაც არ ვაგდებდით მათ მაღალფარდოვან პრეტენციოზობას და უცხოურ სახელწოდებებს. მოგვრიოდნენ მაყურებლებიც („ხალხმრავლობა" ასე ორას კაცს აღწევდა). რაღა თქმა უნდა, იოსებ გრიშაშვილიც აქვე იყო და, საკვირველია, წაღვერელთა მიმართ ნაკლებ „პატრიოტიზმს" ამხელდა, უფრო ჩვენსკენ, ბაკურიანელი სტუდენტებისკენ ეტყობოდა „გადახრა", ისე კი, ქცინებოდა ჩვენი უვიცობის გამო ფეხბურთის ილეთების ცოდნაში.

„გავარდა ბურთი". სათამაშოდ ერთი მოზრდილი მინდორი შეერჩიათ, თავსა და ბოლოში ლარტყის კარები აღემართათ, ბადე და სხვა „აქსესუარები" არ იყო. გამოენთნენ ჩვენი ბიჭებიც. ჩაუქობა არ გვაკლდა, ფეხმარდნიც ვიყავით, გუნდის მოთავეც სულ შეძახილებით გვამხნევებდა, ჩვენც არ ვაკლებდით სარმას, ფეხის დადებას, მოგვერდს... ვინ იყო პატრონი და გამკითხავი.

ბოლოს მაინც ფეხბურთის ხელოვნების ცოდნამ გაიმარჯვა. ჩვენ სასტიკად დავმარცხდით, „ლელოლელტაში" გაწაფულობამ ვერ გვიშველა, თუმცა დამარცხებას არად ვაგდებდით და იხტიბარსაც არ ვიტეხდით.

ბატონი სოსო კი, ჩვენი შემყურე, გულიანად იცინოდა: — მაშ, რა გეგონათ, თქვე ფეთხუმებო, ფეხბურთის თამაშს, შვილოსა, ვარჯიში უყვარს. თამაშს ცოდნა უნდა!..

საყვარელი პოეტის დატუქსვაში ჩვენდამი სიმპათიის ნოტები გამოსჭვიოდა.

**მ. კაკაბაძე,**
**პენსიონერი.**

### ნაკრებში 188 მატჩის შემდეგ

**უნგრეთის** წყალბურთელთა ნაკრების მეკარემ ე. მოლნარმა ითხოვა ქვეყნის ნაკრების შემადგენლობიდან გამომიყვანეთო. საკუთარი აღიარებით, ამ გადაწყვეტილების მიღებაში უმნიშვნელო როლი როდი შეასრულა მოსკოვის XXII ოლიმპიურ თამაშებში უნგრეთის გუნდის უხეირო გამოსვლამ. მისი სიტყვებით სადღეისოდ ძალა არ შესწევდა ყველაფერი თავიდან დაეწყო, გაეძლო გართულებული წვრთნის ახალი ეტაპისთვის. ეს გასაგებიცაა. იგი ხომ ნაკრებში 1966 წლიდან თამაშობს.

მოლნარს განზრახული აქვს თავისი საკლუბო გუნდის ინტერესები დაიცვას. ამრიგად, უნგრეთის ნაკრებმა მოკლე დროში დაჰკარგა მსოფლიო კლასის ორი მოთამაშე — ი. სივოში და ე. მოლნარი.

34 წლის მოლნარმა ნაკრებში 188 მატჩი ჩაატარა. მოიპოვა მონრეალის ოლიმპიადისა და ბელგრადის 1973 წლის მსოფლიო ჩემპიონატის, აგრეთვე, ევროპის 1974 და 1977 წლების ჩემპიონატების ოქროს მედლები.

ამ შესანიშნავი სპორტსმენის დიდოსტატობას ისიც ადასტურებს, რომ შარშან, როცა უნგრეთის ნაკრებმა უკანასკნელ დიდ წარმატებას მიაღწია, ხოლო „ვაშაშმა" ევროპის ჩემპიონატის თასი მოიგო, მოლნარი წლის საუკეთესო წყალბურთელად აღიარეს.

უნგრელ მეკარეთა შორის, რომელთაც შეუძლიათ ნაკრებში მისი ადგილი დაიკავონ, მოლნარი ფეკეტს, ბორშს, ხორვატსა და ხუსლერს ასახელებს.

— არავითარი სურვილი არ მაქვს მთლიანად ჩამოვშორდე წყალბურთს, 1982 წლამდე „სპარტაკუსში" ვითამაშებ. მერე მწვრთნელობას მოვკიდებ ხელს — განაცხადა მან.

**(საკდესი).**

რედაქტორი ა. ბასილაია.

**იალქანი** არა მარტო იახტსმენს, არამედ ველოსიპედისტსაც შეიძლება გამოადგეს. ეს დაამტკიცა ფრუნზეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოყენებითი მათემატიკის მასწავლებელმა დ. ლეტნიკმა. მან იალქნიანი ველოსიპედით ისიკ-ყულის ტბიდან ყარაყუმის უდაბნოს გავლით ბალტიკამდე იმოგზაურა. მეორე ფოტოზე კი ველოსიპედის კიდევ ერთ ამპლუას ხედავთ: მიმდინარეობს მსოფლიოს პირველობა ველობურთში. 1968 წლიდან პლანეტაზე უძლიერესის ტიტულს ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენები ინარჩუნებენ.

საკდესის ფოტოები.

### თბილისის სპორტულ ბაზებზე

**კრივი.** „შრომითი რეზერვების" სპორტული კომპლექსი. 2-3-5-6 დეკემბერი. „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა 1965-66 წლებში დაბადებულთა შორის. დასაწყისი 12 და 18 ს.

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. 29 ნოემბერი. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. „სპარტაკი" (თბილისი) — „ივერია" (ხაშური). დასაწყისი 12 ს., გ. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. „ავიატორი" (თბილისი) — „მაღაროელი" (ჭიათურა). 13 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-53; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-55; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, კოსტავას, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 02549